თენგიზ ვერულავა, რევაზ ჯორბენაძე

Tengiz Verulava, Revaz Jorbenadze

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

The Health Care System in the First Democratic Republic of Georgia (1918-1921)

9 789941 800665

თბილისი 2018 Tbilisi

თენგიზ ვერულავა, რევაზ ჯორბენაძე

Tengiz Verulava, Revaz Jorbenadze

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

The Health Care System in the First Democratic Republic of Georgia (1918-1921)

ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტი

Chapidze Emergency Cardiology Center

Health Policy and Insurance Institute

თბილისი **2018** **Tbilisi**

თენგიზ ვერულავა - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტის დირექტორი, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ხარისხის მართვის დეპარტამენტის და უწყვეტი განათლების სკოლის დირექტორი

Tengiz Verulava - Academic Doctor of Medicine, Professor of Ilia State University, Director of Health Policy and Insurance Institute, Director of Qual-ity Management Department and Continuous Education School of Chapidze Emergency Cardiology Center

რევაზ ჯორბენაძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

Revaz Jorbenadze - Academic Doctor of Medicine, Associate Pro-fessor of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Executive Director of Chapidze Emergency Cardiology Center

რედაქტორი - ოთარ გერზმავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

Editor - Otar Gerzmava, Academic Doctor of Medicine, Professor

ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტი

Chapidze Emergency Cardiology Center

Health Policy and Insurance Institute

ISBN 978-9941-8-0066-5

მიმდინარე წლის 26 მაისს სრულდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 100 წლისთავი. საქართველოს დამოუკიდებლობის (1918-1921) მოკლე პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყო ჯანდაცვის სახელმწიფო დონეზე ორგანიზება, მართვა, დაფინანსება, ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადება. ჯანმრთელობის დაცვის დარგში განხორციელებულმა რეფორმებმა თავისი წვლილი შეიტანეს ქვეყანაში ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვირვების და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საქმეში.

თენგიზ ვერულავა

The 2018 year is the 100th anniversary of the restoration of the statehood of Georgia. Within a short period of time (1918-1921), the government of the Democratic Republic of Georgia managed to carry out a number of important measures: establishment of the Tbilisi University and Faculty of Medicine, Medical and Sanitary Department, Georgia Red Cross Society, Georgian Pharmaceutical Society. Significant reforms were implemented in the Georgian healthcare system. The Government of the Republic of Georgia started to organize and manage health care at the state level for the first time in the country's history. The reforms in the health care contributed to the establishment of civilized public relations and the democratic society in the Georgia.

Tengiz Verulava

ჯანდაცვის სისტემა საქართველოს

დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

მიმდინარე წლის 26 მაისს სრულდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 100 წლისთავი. 1918 წლის 26 მაისით დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. დაიბადა XX საუკუნის ევროპული ტიპის, ახალი, საპარლამენტო დემოკრატიული სახელმწიფო.

არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მთავრობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

სამედიცინო განათლება

1917 წელს გრიგოლ მუხაძის, სპირიდონ ვირსალაძის და შალვა მიქელაძის თაოსნობით დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაფუძნებაში. უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წინადადებით 1917 წლის 12 ოქტომბერს „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ მორიგ კრებაზე პირველად დაისვა ქართულ უნივერსიტეტთან სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების საკითხი. კრებაზე შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაემუშავებინა სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ჩამოყალიბების პროექტი. კომისიაში შედიოდნენ: პ. მელიქიშვილი, ა. ჯავახიშვილი, დ. ახვლედიანი, ი. თიკანაძე, მ. წინამძღვრიშვილი, ს. ვირსალაძე, ვ. ღამბაშიძე, გ. მუხაძე, ნ. მელიქიშვილი, ა. ხარაძე.

15 ოქტომბერს შედგა კომისიის პირველი სხდომა. განიხილეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და შესაძლო კანდიდატურების საქართველოში მოზიდვის საკითხი. პროექტის უფრო დეტალური დამუშავების მიზნით კომისია საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტების ქვეკომისიებად დაიყო. შედგა ფაკულტეტების

ჩამოყალიბების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ორივე ქვეკომისიამ მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები ერთად მოისმენდნენ ლექციებს ბიოლოგიურ და საბუნებისმეტყველო საგნებში. კომისიამ დაადგინა: „თუ მატერიალური ძალა ხელს შეგვიწყობს და ომი მოკლე ხანში გათავდება, საბუნებისმეტყველო და მასთან ერთად სამკურნალო ფაკულტეტიც შესაძლებელია გაიხსნას 1918 წლის 1 ოქტომბრიდან“.

კომისიის მუშაობის შედეგები 1917 წლის 31 ოქტომბერს მოხსენდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ კრებას. გამოითქვა აზრი, ქართველ ექიმთა კომისიას არ შეეწყვიტა მუშაობა, მიეღო მუდმივი ხასიათი და ემოქმედა უნივერსიტეტის გამგეობასთან ერთად. აზრი მოწონებულ იქნა თვით უნივერსიტეტის გამგეობის მიერ, რომელშიც „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ წარმომადგენლებად მხოლოდ სათათბირო ხმით შევიდნენ ივანე თიკანაძე, სპირიდონ ვირსალაძე და გრიგოლ მუხაძე.

1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, 13 საათსა და 20 წუთზე გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ეს იყო პირველი ეროვნული უნივერსიტეტი არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. უნივერსიტეტის დაარსებაში დიდია ივანე ჯავახიშვილის წვლილი. პროფესორთა საბჭომ უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩია პეტრე მელიქიშვილი.

1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნა. სხდომაზე განხილულ იქნა ეროვნული საბჭოს სამკურნალო სექციის მიმართვა უცხოეთში მყოფ ქართველ პროფესორთა, დოცენტთა და მეცნიერ-ხელმძღვანელთა მიმართ სააღდგომოდ ტფილისს დაბრუნებისა და აქ კრების გამართვის შესახებ, სადაც ერთ-ერთ საკითხად ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა უნდა იყოს დასმული.

1918 წლის 8 მარტის სხდომაზე განხილული იქნა წიგნთსაცავისა და რენტგენის სხივების კაბინეტის შეძენა საფრანგეთის მისიისაგან და გადაწყდა: „რადგანაც კაბინეტიცა და წიგნთსაცავიც სამკურნალო ფაკულტეტისათვის არის საჭირო, ამიტომ ეთხოვოს მკურნალთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას, რომ ამათ შეძენას მოხმარდეს ის თანხა,

რომელიც საზოგადოებას სამკურნალო ფაკულტეტისათვის აქვს შეგროვებული და განკუთვნილი.“

2018 წლის 15 მარტს ივანე ჯავახიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ საფრანგეთის მისიისაგან სამი ათას მანეთად შეძენილ იქნა უნივერსიტეტისათვის ფრანგული წიგნთსაცავი, რომელიც მოიცავდა „სამკურნალო წიგნებს“, რისთვისაც ი. ჯავახიშვილს გამოეცხადა მადლობა.

2018 წლის 13 აპრილის სხდომაზე მადლობა გამოეცხადა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელმაც გადასცა უნივერსიტეტს თავისი წიგნთსაცავი და საექიმო ლაბორატორიის მოწყობილობა. ამავე სხდომაზე ფ. გოგიჩაიშვილმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტს ეთხოვა ყველა ადგილობრივი რედაქციისა და გამომცემელისათვის თავიანთი გამოცემები და ჟურნალ-გაზეთები, ორ-ორი ეგზემპლიარი, უფასოდ გადაეცათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის.

1918 წლის 17 ივნისს გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პეტრე მელიქიშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ თავმჯდომარე სპირიდონ ვირსალაძე. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სექტემბრის თვეში გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო გაერთიანებული ფაკულტეტი. პროფესორთა საბჭო აღნიშნავდა:

„სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტი-სათვის, ამ ფაკულტეტეზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავს დიდ გამარჯვებას ამ საქმისა... დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას საჭირო ზომები ორივე ფაკულტეტის ენკენისთვიდან გახსნისა და მოწყობის შესახებ; ეთხოვოს მთავრობას დაუთმოს უნივერსიტეტს ერთ-ერთი შესაფერისი შენობა, სასურველია ქართული გიმნაზიის შენობა. ...აღიძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერარს, რომ საექიმო ფაკულტეტისათვის ეხლავე მიჩნეულ იქმნას რამოდენიმე საავადმყოფო, ორი მაინც, და ყველა ამ საკითხების მოგვარება დაევალოს ცალკე კომისიას, რომელშიც შევლენ უნივერსიტეტის გამგეობის წევრნი და ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სამი წარმომადგენელი.“

გაერთიანებული ფაკულტეტის პირველ სხდომას, რომელიც ჩატარდა 1918 წლის 20 ოქტომბეტს, ესწრებოდნენ პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ნათიშვილი, არ. ხარაძე, ზ. ყანჩაველი, სპ. ვირსასლაძე, ი. თიკანაძე და გ. მუხაძე. ამას გარდა, სხდომას ესწრებოდნენ პროფ. ივ. ჯავახიშვილი და ი. ყიფშიძე.

სხდომაზე განიხილეს ლაბორატორიების და აუდიტორიების მოწყობის საკითხი; ჭიათურიდან საექიმო ლაბორატორიის გადმოტანაში თანადგომა ეთხოვა ჭიათურაში მოღვაწე ექიმ სიმონ ჯაფარიძეს. დაისვა, აგრეთვე, „საანატომიო თეატრისა და კლინიკის საკითხი.“ მიხეილის საავადმყოფოთი და საბებიო ინსტიტუტით სარგებლობის შესახებ მთავრობის წინაშე მოხსენების მომზადება სხდომამ დაავალა მედიცინის დოქტორს სპირიდონ ვირსალაძეს.

1918 წლის შემოდგომაზე გაიხსნა საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. პროფესორთა სიმცირის გამო ორივე ფაკულტეტი ერთად იყო და დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი პ. მელიქიშვილი, 1918 წლის 24 ოტომბერს კი – პროფესორი ვარლამ მოსეშვილი, რომელიც ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა 1919 წლის 29 აპრილამდე.

ფაკულტეტების დამოუკიდებლად მუშაობის დაწყება შესაძლებელი გახდა 1919 წელს. 1919 წლის 9 აპრილს პროფესორთა საბჭოზე განიხილეს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის გაყოფის საკითხი და უკანასკნელი დამოუკიდებელ ფაკულტეტად ჩამოყალიბდა.

1919 წლის 29 აპრილს უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ დეკანად აირჩიეს ალექსანდრე ნათიშვილი (1878-1959). მას დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკუტეტი (1905). ალექსანდრე ნათიშვილი შემდგომ არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირველ პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში. აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 15 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ალექსანდრე ნათიშვილმა წაიკითხა პირველი ლექცია ადამიანის ნორმულ ანატომიაში წაიკითხა. იგი ითვლება მეცნიერული ანატომიის ფუძემდებლად საქართველოში.

ალექსანდრე ნათიშვილი ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა 1919 წლის 29 აპრილიდან 1919 წლის 6 სექტემბრამდე. 1919 წლის 6 სექტემბრიდან 1929 წლის 6 სექტემბრამდე ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა სვიმონ ამირეჯიბი, 1920 წლის 6 სექტემბრიდან 1924 წლის 17 დეკემბრამდე - ალექსანდრე ალადაშვილი.

1919 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა კერძო პათოლოგიის და თერაპიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს სპირიდონ ვირსალაძე (1868-1930). სპირიდონ ვირსალაძემ 1896 წელს დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1898-1909 წლებში მუშაობდა პეტერბურგში ი. პავლოვის, ა. ნეჩაევისა და ვლ. ბეხტერევის ხელმძღვანელობით. 1903 წელს დაბრუნდა თბილისში სადაც დაინიშნა წმინდა მიქაელის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ და თერაპიული განყოფილების გამგედ, ხოლო 1918 წელს კი მთავარ ექიმად. 1916-1917 წლებში მისი თაოსნობით დაარსდა თბილისში ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება. 1919 წელს სპირიდონ ვირსალაძემ შ. მიქელაძესთან ერთად გამოსცა პირველი ქართული სამედიცინო ჟურნალი „ექიმი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი მალარიასთან ბრძოლის საქმეში. მისი თაოსნობით დაარსდა 1921 წელს ტროპიკულ სნეულებათა ცენტრალური სადგური, რომელიც მოგვიანებით, 1924 წელს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტად გადაკეთდა.

1919 წელს სამკურნალო ფაკულტეტზე შეიქმნა ზოგადი ქირურგიის კათედრა კლინიკით, რომლის ხელმძღვანელად მიიწვიეს გრიგოლ მუხაძე (1879-1948), პრაქტიკული ქირურგიის ერთ–ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს ივანე თიკანაძე (1868-1943) ქართული მეცნიერული მეანობის ფუძემდებელი. ივანე თიკანაძეს დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია (1894 წ.). საქართველოში დაბრუნების შემდეგ 9 წელი მუშაობდა ქ. ოზურგეთის ამბულატორიაში. 1907 წელს მეანობა-გინეკოლოგიაში დახელოვნების მიზნით კვლავ გაემგზავრა პეტერბურგში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაინიშნა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილების გამგედ და მთავარ ექიმად.

სვიმონ ამირეჯიბმა (1877-1936), რომელიც ითვლება საქართველოში ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებლად, 1919 წელს სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსა ბაქტერიოლოგიის, 1920 წელს კი ზოგადი ჰიგიენის კათედრები, 1919 წელს მიკრობიოლოგიის კათედრა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე. მან 1903 წელს დაამთავრა ხარკოვის

უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1907–1919 წლებში იყო ხარკოვის სამედიცინო საზოგადოების შრატებისა და ვაქცინების განყოფილების, ხოლო 1915–1919 ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე. 1919 წელს საქართველოში დაბრუნდა. სვიმონ ამირეჯიბი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი (1919). სვიმონ ამირეჯიბი იყო თბილისის სანიტარული ჰიგიენის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დირექტორი 1926–1933 წლებში. 1919 წელს მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში ვაქცინებისა და შრატების წარმოება. მან შეისწავლა თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების წყალსადენების სანიტარიის, მტკვრის დაბინძურების და თვითგაწმენდის საკითხები, მუშაობის სანჰიგიენური პირობები ჭიათურის მაღაროებში, აგრეთვე შავი ზღვის მიკროპლანქტონი და სხვ. შეადგინა სამედიცინო მიკრობიოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელო (1933).

ალექსანდრე ალადაშვილმა (1876-1950) თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე 1919 წელს დაარსა შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრა, რომლის გამგედ მუშაობდა 1921 წლამდე. მას დამთავრებული ჰქონდა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1904). 1919 მუშაობდა სიმფეროპოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამდეგ.

ნიკოლოზ კახიანმა (1883-1928) 1919 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსა ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა. იგი 1910–1914წწ. მუშაობდა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ანატომიის კათედრაზე. 1917 წელს აირჩიეს ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკი) უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ანატომიის კათედრის გამგედ. 1919 წლიდან გადმოვიდა თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში.

თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა ფარმაკოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს ვარლამ მოსეშვილ (1871-1943). მას დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1898).

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ფსიქიატრიის კათედრა, რომლის გამგედ აირჩიეს მიხეილ ასათიანი (1882-1938), მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი

ფუძემდებელი საქართველოში. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1907) და მუშაობდა იმავე უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრაზე. შემდგომ მუშაობდა მოსკოვის ნევროფსიქიატრიულ სანატორიუმში და რედაქტორობდა ჟურნალ „პსიხოტერაპიას“. 1917 წელს აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტად. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ფსიქიატრიაში მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ.

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა, რომელსაც 1920-54 წლებში განაგებდა გაბრიელ ღამბარაშვილი (1878-1954), თეორიული და პრაქტიკული მეანობა-გინეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მან 1907 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1912-17 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის მეანობა — გინეკოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტი, 1917-20 წლებში კი ამავე კათედრის პროფესორი იყო, ერთდოულად მუშაობდა მოროზოვის სახელობის სიმსივნეების ინსტიტუტში.

უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ნოვოროსიის (ქ. ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მედიცინის დოქტორები – სპირიდონ ვირსალაძე (1868-1930), გრიგოლ მუხაძე (1879-1948), ივანე თიკანაძე (1868-1943), ექიმები –- მიხეილ წინამძღვრიშვილი (1882-1956), შალვა მიქელაძე (1884-1937). შემდგომ წლებში მათ შეუერთდნენ: ხარკოვის უნივერსიტეტის პრორექტორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ნათიშვილი (1878-1959), ყირიმის (სიმფეროპოლი) უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ალადაშვილი (1876-1950), ხარკოვის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი სვიმონ ამირეჯიბი (1877-1936), ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერისტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ბერიტაშვილი (1885-1974), ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკის) უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ კახიანი (1883-1928), ხარკოვის უნივერისტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი ვარლამ მოსეშვილი (1871-1943), მოსკოვიდან – მიხეილ ასათიანი (1882-1938), პეტროგრადიდან – მედიცინის დოქტორი ალექსანდრე მაჭავარიანი (1884-1941), მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, მედიცინის დოქტორი გაბრიელ ღამბარაშვილი (1878-1954), ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი,

ფარმაციის მაგისტრი იოველ ქუთათელაძე (1887-1963), ნოვოროსიის (ქ. ოდესა) უნივერისტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი სვიმონ გოგიტიძე (1921 წ.) და ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტის პროზექტორი, დოქტორანტი ვლადიმერ ჟღენტი (1922 წ.). მათ მიერ ჩამოყალიბდა ქირურგიის, თერაპიის, მეანგინეკოლოგიის, კარდიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და სხვა მიმართულებების ქართული სამედიცინო სკოლები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს როგორც საქართველოში სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში, ასევე ახალგაზრდა სამედიცინო კადრების მომზადებაში.

ქართული უნივერსიტეტის პროფესორებმა შექმნეს პირველი სახელმძღვანელოები: ანატომიაში, (ა. ნათიშვილი), მეანობა-გინეკოლოგიაში (ი. თიკანაძე) და სხვა. ქართველი მეცნიერები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქართული სამეცნიერო-სამედიცინო ტერმინოლოგიის შესაქმნელად. გამოცემულ იქნა წიგნები მეანობა-გინეკოლოგიის (ი. თიკანაძე), დიაგნოსტიკური (ა. ალადაშვილი), ქირურგიული (გ. მუხაძე) ტერმინოლოგიის შესახებ.

1920 წლისათვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რიცხვი უდრიდა 138-ს, მათ შორის იყო 21 პროფესორი, 5 დოცენტი, 3 პრივატ-დოცენტი.

1919 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 1813 შეადგინა. მათ შორის, 739 (40,8%) სწავლობდა სამკურნალო ფაკულტეტზე. 1920 წელს კი სტუდენტთა საერთო რაოდენობის (2729) 35,2% (960) ჩაირიცხა სამკურნალო ფაკულტეტზე.

სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში, ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტში, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფოში და სხვ. აღნიშნული საავადმყოფოები წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის ბაზას, რომლებიც ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ, რომ სტუდენტებს ღირსეული განათლება მიეღოთ.

უნივერსიტეტის გარდა, ქვეყანაში შეიქმნა სხვადასხვა სამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. 1918 წელს პროფესორმა სიმონ ამირეჯიბმა დაარსა მედიკოს ლაბორანტთა მოსამზადებელი ექვსთვიანი ფასიანი კურსები. ასეთი კურსების მიზანს წარმოადგენდა ისეთი დეფიციტური კადრების მომზადება, როგორებიცაა: ლაბორანტები, პროვიზორები, უმცროსი პროვიზორები, მოწყალების დები.

ჯანდაცვის სისტემის მართვა

1918 წლის ნოემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სამედიცინო-სანიტარიული დეპარტამენტი, რომელიც განაგებდა ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. დეპარტამენტი ერთიან, კოორდინირებულ და ცენტრალურ პრინციპზე დამყარებულ ხელმძღვანელობას ახოციელებდა ჯანდაცვის სფეროში. დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სიმონ ჯაფარიძე. სამედიცინო-სანიტარიული დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ვეტერინარული მომსახურება.

1920 წლის თებერვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძემ (1873-1921) დასამტკიცებლად წარმოადგინა ბრძანების პროექტი საქართველოს სამედიცინო-სანიტარული დეპარტამენტის ბაზაზე ჯანმრთელობის დეპარტამენტის შექმნის თაობაზე. თავის მოხსენებაში მინისტრმა დიდი ადგილი დაუთმო ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის საკითხს. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მალარიის, ტუბერკულოზისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებაზე.

ამ დაავადებების მიერ გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე მიუთითებს სპირიდონ ვირსალაძე, რომელიც 1919 წელს დაწერილ ერთ-ერთ თავის წერილში წერდა: "საქართველოს ერი ფიზიკურად დასუსტებული და დაუძლურებულია, დგას გადაგვარებისა და გადაშენების გზაზე. ტუბერკულოზი და მალარია ეროვნულ ავადმყოფობებად არიან ჩათვლილნი... ეს მოვლენანი ისეთ უბედურებას შეადგენს ხალხის მომავლისთვის, რომ თუ დროზე შესაფერისი ზომები არ იქნა მიღებული, ხალხს ვერ დავიხსნით დაღუპვისაგან".

მიუხედავად იმისა, რომ ფართო ღონისძიებები ჩატარდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ, დადებითი შედეგები არ იქნა მიღწეული. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძის აზრით, აღნიშნული გამოწვეული იყო სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების არაკოორდინირებული ქმედებებით. იგი მოითხოვდა ყველა სამედიცინო დაწესებულების ახლადშექმნილი ჯანმრთელობის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებას. კანონი ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ მიღებულ იქნა 1920 წლის 13 ივლისს. ჯანმრთელობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა სპირიდონ ვირსალაძე. დეპარტამენტის მოვალეობას

შეადგენდა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობის წარმართვა. ჯანმრთელობის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედიოდა:

ა) რესპუბლიკის ყველა სამედიცინო-სანიტარიული ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობა;

ბ) საკარანტინო საკითხები;

გ) ტუბერკულოზის, მალარიის, ქოლერის, ჭირის, ტიფის, სქესობრივი გზით გადამდები და სხვა დაავადებების მართვა;

დ) ექსპერტიზის საკითხები;

ე) სამედიცინო-სანიტარიული სტატისტიკის ჩატარება;

ვ) სახელმწიფო მნიშვნელობის დასასვენებელი კურორტების საექიმო სანიტარიული მართვა;

(ზ) სააფთიაქო და ფარმაცევტული საკითხები;

თ) სამედიცინო-სანიტარიული კანონის შესრულებაზე მონიტორინგი, სამედიცინო-სამეცნიერო საკითხების შემუშავება.

დეპარტამენტს მართავდა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვედეპარტამენტების უფროსები. საბჭოს ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსი.

სამედიცინო დაწესებულებების ქსელი

ქვეყნის ტერიტორია დაყოფილი იყო მაზრებად, ოლქებად, ქალაქებად. მაზრა წარმოადგენდა ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. შესაბამისად, ინიშნებოდნენ სამაზრო, საოლქო, საქალაქო ექიმები. გეოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური თავისებურებების გამო თითოეულ რეგიონი მოითხოვდა განსხვავებულ მიდგომას. სვანეთი გამოირჩევა მაღალმთიანობით და ენდემური ჩიყვის პრობლემებით. შესაბამისად, სვანეთის მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. იგივე შეიძლება ითქვას ახალქალაქზე, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალმთიანობით და ეროვნული და აღმსარებლობითი თავისებურებებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამკურნალო ქსელი დაყოფილი იყო 3 სექტორად:

ა) სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;

(ბ) მუნიციპალური სამედიცინო დაწესებულებების ქსელი;

გ) კერძო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი.

გარდა აღნიშნული სექტორებისა, ქვეყანაში სამკურნალო საქმეს ემსახურებოდა კერძო პრაქტიკის მწარმოებელ ექიმთა კორპუსიც.

1919 წლის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებდა 45 საავადმყოფო 1200 საწოლზე. თბილისში არსებობდა 17 საექიმო უბანი, ხოლო ქუთაისში - 13. ახალი სამედიცინო დაწესებულებები შეიქმნა ფოთში, ოზურგეთში, ახალქალაქსა და სვანეთში.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

	რაოდენობა
საავადმყოფოები	45
მათ შორის ქალაქად	31
სოფლად	14
საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი	1123
საწოლების განაწილება სპეციალობების მიხედვით:	1123
ქირურგიული	61
სამეანო-გინეკოლოგიური	80
ბავშვთა	30
ნერვული და ფსიქიკური	215
გადამდებსნეულებიანი ავადმყოფები	80
თერაპიული	657

წყარო: შენგელია მ. ქართული მედიცინის ისტორია. თბილისი, მეცნიერება, 1981.

ჯანდაცვის სისტემის ერთეულს წარმოადგენდა სამკურნალო-მეთვალყურე სადგურები და ადგილები. სამედიცინო-სამეთვალყურეო სადგურები განიხილებოდა როგორც სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების და ამბულატორიული მომსახურების ერთგვარ ნაზავს.

1920 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ფინანსური დახმარება უნდა გაეწია ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებზე, კერძოდ, ომში დაღუპულთა ოჯახებზე, ეპიდემიებთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახებზე, შრომის უნარდაკარგულ საექიმო პერსონალზე (ექიმებს - 15000 მან., ხოლო ფერშლებს - 10000 მან. აღნისნული ტანხა მათ საშუალო წლიურ ხელფასს შეესაბამებოდა). ბრძანებას ხელს აწერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი ექიმი ივანე გომართელი.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა ფასიანი სამედიცინო მომსახურების მისადაგებას რეალურ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. სოხუმში გაიხსნა პირველი მუშათა აფთიაქი, რომელიც წამლებს მოსახლეობას უფასოდ აწვდიდა.

წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაციის შექმნისა. 1918 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე) და გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი). კრება გახსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელმა, ექიმმა მიხეილ ზანდუკელმა. რუსეთის წითელი ჯვრის მთელი ქონება, რაც თავმოყრილია საქართველოში, გადაეცა ქართულ წითელ ჯვარს. წითელი ჯვრის საზოგადოებამ თბილისში დიდი მთავრის ქუჩაზე გახსნა საავადმყოფო, რომელიც უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. წითელი ჯვრის საზოგადოებასთან დაარსდა მოწყალების დების საზოგადოება, რომლის დებულების თანახმად მოწყალების დებს მოეთხოვებოდათ და ევალებოდათ ქართული ენის ცოდნა.

სააფთიაქო საქმე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სააფთიაქო საქმესაც. 1918 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოება. 1918 წლის დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების ყრილობა. მოწყობისა. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ფარმაცევტული საქმის ახლებურად, დროის

მოთხოვნათა შესაბამისად წარმოებაზე. რეკომენდაცია მიეცა ქვეყანაში კერძო აფთიაქებთან ერთად საქალაქო (მუნიციპალური) აფთიაქების განვითარების ხელშეწყობას.

ჟურნალ-გაზეთები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაარსდა ქართული სამედიცინო ჟურნალ-გაზეთები. 1919 წელს სპირიდონ ვირსალაძემ შ. მიქელაძესთან ერთად გამოსცა პირველი სამედიცინო პერიოდული ჟურნალი "ექიმი". სარედაქციო კოლეგიის განცხადებით, იგი წარმოადგენდა საქართველოს ექიმთა და ეროვნული სამეცნიერო საზოგადოების გამოცემას, "სამეცნიერო-საზოგადოებრივ სამედიცინო ჟურნალს".

1918 წლის იანვარში გამოიცა „საქართველოს ექიმის თანაშემწეთა საზოგადოების" ახალი ყოველთვიური ჟურნალი "ექიმის თანაშემწე". 1919 წელს გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი "ფარმაცევტი". 1920 წელს გამოვიდა „ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების" ჟურნალი "ჭლექი და მასთან ბრძოლა", რომელიც გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ. ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხები ქვეყნდებოდა მუნიციპალურ ჟურნალებში: „ერობა და ქალაქი", „ჩვენი ქალაქი".

სახელმწიფო ცდილობდა მოსახლეობაში აემაღლებინა სანიტარიული განათლება. განათლების მინისტრის ბრძანებით გადაწყდა საგანმანათლებლო სამკურნალო წიგნაკების დაბეჭდვა: „ქართველ ექიმებს კარგად მოეხსენება, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ხალხი საექიმო დახმარების მხრივ. სხვათა შორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობს ხალხში ათასგვარი წრურწმენების გავრცელებას, რასაც, სამწუხაროდ, მკვიდრათ აქვს გადგმული ფესვები არა თუ სოფლებში, - ქალაქებშიაც კი. გასაჭირის დროს ხალხი გარბის მარჩიელთან, რომ მისგან გაიგოს თავისი აწმყო და მომავალი. მოკლედ რომ მოვსჭრათ, ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული, და ასე იქნება, სანამ მისი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი კერძო თაოსნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამიტომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამწიგნობრო სექციამ განიზრახა დაბეჭდოს მთელი რიგი სამკურნალო წიგნაკებისა... წიგნაკები უნდა დაიწეროს მეცნიერულად და მდაბიურად, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის.

ამგვარად, 1918-1921 წლებში, დროის მოკლე პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყო ჯანდაცვის სახელმწიფო დონეზე ორგანიზება და მართვა, სამედიცინო რეფორმასთან დაკავშირებული პროექტების ფინანსური და მორალური მხარდაჭერის განხორციელება, ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადება. შეიძლება თამამად იმის აღნიშვნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის დარგში განხორციელებულმა რეფორმებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს ქვეყანაში ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვირვების და დემოკრატიული საზოგადოების საქმეში.

ბიბლიოგრაფია

- Verulava T., Kalandadze, T. Health Care System in Georgia. Tbilisi, Metsniereba, 2001.
- ვერულავა თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016 წ.
- ჟღენტი ვ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ი. მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები. თბილისი. 1971.
- შენგელია მ. ქართული მედიცინის ისტორია. თბილისი, მეცნიერება, 1981.
- შენგელია მ. ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბილისი, მეცნიერება, 1981.
- შენგელია მ. რენესანსი და ძველი ქართული მედიცინა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1985.
- შენგელია რ., ქორჩილავა ჯ., ხიდაშელი ლ., ასათიანი ნ. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია საქართველოში. გაზ. „მედიცინა“, 29 მაისი, 1993, გვ. 3.
- შენგელია რ. “ჯანდაცვის ორგანიზაცია დამოუკიდებელ საქართველოში” თბ: 2001.
- გამყრელიძე ა., ვასაძე ო. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვა საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი, 2003.
- სააკაშვილი მ., გელაშვილი ა. საქართველოს მედიცინის ისტორია. თბილისი. “საქმედგამი’ 1956, ტ.II
- ჯორბენაძე ა. საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. 1998 წ.
- ჯორბენაძე ა. საჯარო გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. 1998 წ.
- გერზმავა, ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 2012.
- ურუშაძე, რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვა, თბილისი, 2002 წ.

The Health Care System in the First Democratic Republic of Georgia (1918-1921)

May 26 this year is the 100th anniversary of the restoration of the statehood of Georgia. The qualitatively new stage in state restructuring of Georgia started on 26 May 1918. The European type, new, parliamentary democratic state of the 20th century was born.

Within a short period of time, the Government of the country managed to carry out a number of important measures: implemented the judiciary reform; established local governing bodies, trade unions; adopted the Constitution of the Republic.

In 1918-1921, the main event in the short period of Georgia's independence was the establishment of the university. Tbilisi University was opened on 26 January 1918 (old style), the day of memory of Davit Aghmashenebeli, at 13:20. It was the first national university not only in Georgia but also throughout the Caucasus. Ivane Javakhishvili's contribution to the university establishment is enormous. The Council of Professors elected Petre Melikishvili as the first Rector of the University.

The Council of University Professors decided to establish a Faculty of Medicine at the meeting held on 27 February 1918. On June 17 of the same year, the meeting of the Council of University Professors, attended by Spiridon Virsaladze, Chairman of the Society of Georgian Doctors and Natural Sciences, decided to open a combined Faculty of Natural Sciences, Mathematics and Medicine. The Council of Professors noted: "The Faculty of Medicine is essential for the University. The children of our people have always had persistent aspiration to this faculty. Its creation means a big victory in this business. P. Melikishvili, A. Benashvili, A. Natishvili, Ar. Kharadze, Z. Kanchaveli, Sp. Virsaladze, I. Tikanadze and G. Mukhadze attended the first meeting of the combined Faculty held on 20 October 1918. In addition, Prof. Iv. Javakhishvili and I. Kipshidze also attended the meeting.

On 29 April 1919, Aleksandre Natishvili was elected as the first Dean of the Faculty of Medicine of the University. He was later elected as the first Prorector for scientific and academic work. It should be noted that on 15 November 1918, Aleksandre Natishvili delivered the first lecture on normal human anatomy at the Faculty of Medicine of Tbilisi University.

From the very first years of the University establishment, the following people worked at the Faculty of Medicine: Honoured Profes-

sor of Novorossia (Odessa) University Petre Melikishvili, Doctors of Medicine - Spiridon Virsaladze, Grigol Mukhadze, Ivane Tikanadze, and Doctors - Mikheil Tsinamdzgvrishvili, Shalva Mikeladze. Later, Prosector of Kharkov University, Doctor of Medicine Alexander Natishvili (1919); Professor of Crimea (Simferopol) University, Doctor of Medicine Alexandre Aladashvili; Scientist at Kharkov Bacteriological Institute Svimon Amirejibi; Privatdocent of Novorossia (Odessa) University Ivane Beritashvili; Professor of Yekaterinoslav (now Dnepropetrovsk) University Nikoloz Kakhiani; Privatdocent of Kharkov University, Doctor of Medicine Varlam Moseshvili (1919); Mikheil Asatiani from Moscow; Doctor of Medicine Alexander Machavariani from Petrograd; Privatdocent of Moscow University, Doctor of Medicine Gabriel Ghambarashvili (1920); Professor of Odessa Medical Institute, Master of Pharmacy Jovel Kutateladze; Professor of Novorossia (Odessa) University, Doctor of Medicine Svimon Gogitidze (1921); and Prosector of Odessa Medical University, doctoral candidate Vladimer Zhgenti (1922) joined the academic group. They established Georgian medical schools of surgery, therapy, obstetrics, cardiology, pharmacology, and other directions, which played a major role in the development of medical science and in preparing young medical staff in Georgia.

By 1920, the total number of teachers and professors of the University Faculty of Medicine was 138, including 21 professors, 5 assistant professors and 3 privatdocents. University students were practicing at the Mikheil Hospital, Olgha Midwifery Institute, Transcaucasian Tbilisi Railway Hospital and others. These hospitals represented the University base, which used every opportunity for students to receive a worthy education.

In addition, various short-term courses for preparation of medical staff were created in the country. In 1918, Simon Amirejibi founded six-month preparatory courses for medical laboratory assistants. The aim of such courses was to prepare deficient personnel, such as doctor-laboratory assistants, pharmacists in charge, junior pharmacists in charge, and sisters of charity.

Healthcare system management

In November 1918, the Ministry of Internal Affairs established a Medical and Sanitary Department that handled health care in the country. The Department managed the healthcare sector based on the unified, coordinated and central principle. Simon Japaridze was appointed as the Head of the Department. Veterinary services fell within the competence of the Medical and Sanitary Department.

In February 1920, Minister of Internal Affairs of Georgia Tchitchinadze submitted a draft decree on the creation of a Health Department as part of the Medical and Sanitary Department of Georgia. In his report, the Minister laid special emphasis on health care in the country. He particularly underlined the spread of malaria, tuberculosis and sexually transmitted diseases. Despite the fact that a wide range of measures were taken against the camp fever, no positive results were achieved. According to the Minister, this was caused by uncoordinated actions of various medical institutions. He required subordinating all medical institutions to the newly established Health Department. The Law on Establishment of Health Department was adopted on 13 July 1920. Spiridon Virsaladze was appointed as Chairman of the Health Department. The duties of the Department were to operate the country's health care system. The Health Department was responsible for the:

a) supervision over the activities of all medical and sanitary organizations in the Republic;

b) quarantine issues;

c) management of tuberculosis, malaria, cholera, plague, typhus, sexually transmitted and other diseases;

d) expert examination issues;

e) collection of medical and sanitary statistics;

f) medical sanitary management of recreational resorts of state importance;

g) pharmacy and pharmaceutical issues; and

h) monitoring of execution of medical and sanitary law, development of medical scientific issues.

The Board composed of the heads of the sub-divisions governed the Department. The Head of the Department managed the Board.

Network of medical institutions

The territory of the country was divided into districts, regions, cities. A district was the largest administrative-territorial unit. Accordingly, the district, region and city doctors were appointed. Due to geographical and epidemiological peculiarities, each region required a different approach. Svaneti is characterized by high mountainous and endemic goiter problems. Accordingly, particular attention was paid to Svaneti. The same can be said about Akhalkalaki, which is also characterized by high mountains and national and religious peculiarities.

The medical network of the Democratic Republic of Georgia was divided into three sectors:

a) Network of state medical institutions

b) Network of municipal medical institutions

c) Network of private medical institutions

In addition to the above sectors, the corps of private practitioners also served the health maintenance in the country.

As of the data of 1919, 45 hospitals with 1200 beds were operating in Georgia. There were 17 medical sites in Tbilisi and 13 medical sites in Kutaisi. New medical institutions were created in Poti, Ozurgeti, Akhalkalaki and Svaneti.

Medical surveillance stations and sites were the unit of the healthcare system. Medical surveillance stations were considered as a mixture of sanitary epidemiological stations and outpatient services.

In November 1920, a resolution was adopted, under which the State had to provide financial assistance to the individual groups of people, in particular, the families of those killed in the war, the families of those killed during the epidemics, the disabled medical personnel (15000 rubles to physicians, and 10000 rubles to surgeon's assistants; the amount corresponded to their average yearly salaries). Famous doctor Ivane Gomarteli, Chairman of the Health Committee of the Founding Congregation of Georgia, signed the resolution.

Medical services in independent Georgia were not free; however, the State was trying to bring the paid medical services to real figures that would be adequate for the financial condition of the population, which reflected in halving prices. In this regard, it should be noted that the first workers' pharmacy opened in Sokhumi, which provided medicines free of charge to the population.

The Red Cross national organization

Following the announcement of Georgia's independence, the agenda was to set up the Red Cross national organization. The founding meeting of the Georgia Red Cross Society was held on 11 September 1918. Noe Zhordania (Chairman of the Government) and Grigol Giorgadze (Military Minister) attended the meeting. Dr. Michael Zandukeli, Representative of the Red Cross International Committee, opened the meeting. All the property of the Russian Red Cross collected in Georgia was transferred to the Georgian Red Cross. The Red Cross Society opened a new hospital in Tbilisi (Didi Mtavari str.), which served the population free of charge. The Society of Sisters of Charity

was founded at the Red Cross Society, under the Statute of which the sisters of charity were required to know the Georgian language.

Pharmacy

The pharmacy work was also of great importance in the Democratic Republic of Georgia. In 1918 the Georgian Pharmaceutical Society was founded. In December 1918, the Congress of the Georgian Society of Pharmacists was held. They decided at the Congress to carry out pharmaceutical activity in a new way, in accordance with current requirements. The recommendation was to promote development of urban (municipal) pharmacies along with private pharmacies in the country.

Journals and newspapers

Georgian medical journals and newspapers were founded in the period of the Democratic Republic of Georgia. The first medical periodical journal "Doctor" was published in 1919. According to the editorial board, it was the publication of Georgian physicians and national scientific community, "scientific-public medical journal". The Society of Georgian Assistant Doctors published a new monthly journal - "Assistant Doctor" in January 1918. The monthly journal "Pharmacist" released in 1919. The Society against Tuberculosis released the journal "Tuberculosis and Fight against It" in 1920, which was published once in two weeks. The healthcare issues were published in municipal journals: "Ethnicity and City", "Our City".

The State tried to raise the level of sanitation education among the population. The Minister of Education issued an order to print educational medical booklets: "Georgian physicians are well aware of how helpless is the situation for our people in terms of medical treatment. By the way, this circumstance also contributes to the dissemination of thousands of prejudices among the population, and this, unfortunately, have roots in both cities and villages. At the time of distress, people flee to fortune-tellers to learn his/her present and future. In short, the majority of our people still live in darkness, and this will continue until their social-political situation changes. However, even in today's conditions, taking initiatives can bring great benefits. Therefore, the literary section of the Society for the Spreading of Literacy among Georgians has decided to print a series of medical booklets..."

Thus, in 1918-1921, in the short period of time, significant reforms were implemented in the Georgian healthcare system. The Government of the Republic of Georgia started to organize and manage health care at the state level for the first time in the country's history, to

provide financial and moral support of the projects related to medical reform, and to prepare national medical staff.

We can boldly say that reforms implemented in the field of health care contributed to the establishment of civilized public relations and the democratic society in the country.

Bibliography:

- Verulava T., Kalandadze, T. Health Care System in Georgia. Tbilisi, Metsniereba, 2001.
- Verulava T., Health Policy, Ilia State University, Tbilisi, 2016.
- Zhghenti V., Gelbakhiani P., Tatishvili I. Medicine Development in Georgia and Georgian Doctors, Tbilisi, 1971.
- Shengelia M. History of Georgian Medicine, Tbilisi, Science, 1981.
- Shengelia M. Investigations from the History of Georgian Medicine, Tbilisi, Science, 1981.
- Shengelia M. Renaissance and Old Georgian Medicine, Tbilisi, Soviet Georgia, 1985.
- Shengelia R., Korchichava J., Khidasheli L., Asatiani N., Health Organization in Georgia, "Medicine" journal, 29 May 1993, p. 3.
- Shengelia R., Health Organization in Independent Georgia, Tbilisi, 2001.
- Gamkrelidze A., Vasadze O., Georgia's Health Care over the Centuries, Tbilisi, 2003.
- Saakashvili M., Gelashvili A., History of Medicine of Georgia, Tbilisi, "Sakmedgami" 1956, vol. II.
- Jorbenadze A. Public Speech at the Event Dedicated to the 80th Anniversary of Georgia's Independence, 1998.
- Jorbenadze A, Public Speech at the Event Dedicated to the 80th Anniversary of the Establishment of Tbilisi State University, 1998.
- Germezava, Otar, Public Health Care and Management, Tbilisi: Tbilisi State Medical University, 2012.
- Urushadze, R. Public Health, Tbilisi, 2002.



თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი პროფესორები: ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ანდრია ბენაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სოლომონ ქურდიანი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭილოშვილი, მიხეილ თაქთაქიშვილი, ნიკო ჩიგოგიძე, გრიგოლ ნათაძე, მიხეილ კონიაშვილი.



ივანე
ჯავახიშვილი

ვარლამ
მოსეშვილი

მიხეილი
ასათიანი

სიმონ
ამირეჯიბი

ნიკოლოზ
ჯახიანი

ივანე
თიჟანაძე

გრიგოლ
მუხაძე

შალვა
მიქელაძე

სპირიდონ
ვირსალაძე

ალექსანდრე
ალადაშვილი



გაბრიელ
ლამბარაშვილი